



მე-5 განყოფილება სრული
შემოსავლის ანგარიშგება და
მოგებისა და გარალის
ანგარიშგება

განსახილველი საკითხები

23

- მთლიანი სრული შემოსავლის წარდგენა
- ხარჯების ანალიზი
- სრულ ფასს-თან შედარება

მთლიანი სრული შემოსავლის წარდგენა 24

საწარმომ პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი უნდა წარადგინოს, ან:

(ა) ერთ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში; ან

(ბ) ორ ანგარიშგებაში – მოგებისა და ზარალის ანგარიშგებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ერთი ანგარიშგების წარდგენიდან ორი ანგარიშგების წარდგენაზე გადასვლა, ან პირიქით, მიიჩნევა სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლად და რეტროსპექტულად აისახება.

მთლიანი სრული შემოსავლის წარდგენა

25

როგორც მინიმუმ, სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა მოიცავდეს:

- (ა) ამონაგებს;
- (ბ) ფინანსურ დანახარჯებს;
- (გ) წილს წილობრივი მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებისა და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მოგებაში ან ზარალში;
- (დ) საგადასახადო ხარჯს;
- (ე) შეწყვეტილ ოპერაციებთან დაკავშირებულ ერთიან თანხას (დაბეგვრის შემდგომი მოგება ან ზარალი, აქტივების გაუფასურება, ან გაუფასურების კომპენსირება, შემოსულობა წმინდა აქტივების გასვლიდან);
- (ვ) მოგებას ან ზარალს;

მთლიანი სრული შემოსავლის წარდგენა

26

როგორც მინიმუმ, სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა მოიცავდეს:

(8) სხვა სრული შემოსავლის თითოეულ კომპონენტს დაჯგუფებულს ორ კატეგორიად:

- (i) შემდგომში არ რეკლასიფიცირდება მოგებაში, ან ბარალში (5.4(ბ) (i)-(ii) და (iv)); და
- (ii) შემდგომში რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ბარალში (5.4(ბ)(iii)).

(თ) წილს წილობრივი მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებისა და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების სხვა სრულ შემოსავალში;

(ი) სრული შემოსავლის მთლიან თანხას

მთლიანი სრული შემოსავლის წარდგენა 27

საწარმომ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში განცალკევებით უნდა წარმოადგინოს პერიოდის მოგება ან ზარალი და პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი რომელიც მისაკუთვნიებელია:

- არამაკონტროლებელ წილზე; და
- სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე.

შეცდომების გასწორებისა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შედეგი უნდა აისახოს, როგორც გასული პერიოდების რეტროსპექტული კორექტირება და არა როგორც მიმდინარე პერიოდის მოგების ან ზარალის ნაწილი.

საწარმომ შემოსავლების ან ხარჯების მუხლები არ უნდა წარადგინოს „განსაკუთრებული მუხლის“ სახით.

ხარჯების ანალიზი

საწარმომ უნდა წარმოადგინოს ხარჯების ანალიზი და ამ მიზნით ხარჯების კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს:

- ეკონომიკური შინაარსის (მაგ. ცვეთა, მასალების შექმნა, ტრანსპორტირების დანახარჯები, დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები ...), ან
- ფუნქციების მიხედვით (გაყიდული საქონლის თვითღირებულება, რეალიზაციის დანახარჯები, ადმინისტრაციული დანახარჯები...).

არჩევანი უნდა გაკეთდეს იმ მეთოდზე, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას იძლევა.

შედარება სრულ ფასს-თან

- უფრო ადვილი ენით არის გადმოცემული, მოიცავს ნაკლებ მითითებებს აღრიცხვის პრინციპების გამოსაყენებლად.
- სრული ფასს-ით თუ საწარმო ფუნქციების მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას იყენებს, უნდა გაამჟღავნოს დამატებითი ინფორმაცია ხარჯების ეკონომიკური შინაარსის შესახებ. მსს ფასს-ით ამგვარი მოთხოვნა არ არსებობს.
- შეწყვეტილ ოპერაციებთან დაკავშირების სრული ფასს უფრო მეტი ინფორმაციის განჟღავნებას ითხოვს ვიდრე მსს ფასს.